წელიწადი I-ლი

ოთხშაბათი 20 ოქტომბერი

ფასი 15 მან.

ბათომის ფურცელი

გაზეთი ღირს თვიურად . . . 300 მან.
განცხადების ფასი
1 გვერდზე პეტიტით სტრიქონი . . . 20 მან.
4 „ „ „ . . . 15 მან.
სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმე.

ხელმოუწერ წერილებს რედაქცია არ მოათავსებს და მათ შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთათ.
რედაქტორის ნახვა დრ. შეიძლება მარინეს პროსპექტზეთ № 13 დილის 11 საათ. 2 საათამდის. სარედაქციო კოლეგიის მდივანის ნახვა შეიძლება შმაევსკის სტამბაში 1 საათ. საღ. 5 ს.

№ 33 ეროვნულ-დღიური დემოკრატიული ორგანო № 33

ელექტრო თეატრი „ა პ ო ლ ლ ო“
ნ. დ. ბროდვალ-სხირტლაძის

ოშაბათიდან 18 ოქტომბრიდან 1920 წ. იქნება ნაჩვენები განსაკუთრებული პროგრამა.

საუცხოვო სურათი
ცეცხლის თაყვანისმცემლები
თქმულება სპარსეთის მგოსან ბაფიზზე (შემ-ედინი).
6 ნაწილათ.
ხუდიაკოვის მუსიკა.
ამ სურათისათვის თბილისიდან სპეციალურად მოწვეულია ცნობილი მოსკოველი იმპროვიზატორი ი. ნ. ხუდიაკოვი.

ღია ჰაერზე, ახალი სპეციალური საზაფხულო ელექტრო თეატრი
„ტ რ ი უ მ ფ“
ნ. ბროვალ-სხირტლაძის
სურათები იჩვენება ყველა ნაირ ამინდში, სურათების ჩვენების დროს უკრავ პირველი ხარისხოვანი მუსიკა, რომელთაც ხელმძღვან. ტრიო რუდკოვსკი

ორშაბათიდან, 1920 წლის 18 ოქტომბრიდან საუცხოვო პროგრამა
სეზონის ბოევიკი
ივლისის ღამის
საიდუმლო
დრამა 5 დიდ ნაწილათ.

ბათომის სახ. მოსამ. კოოპერატივ
„ს ხ ი ვ ი“
(შერემეტ. ქ. № 18)
იყიდება თუთუნი
80 ფუთი, პაჭკეგში.
ნიმუშების ნახვა შეიძლება მაღაზიაში და მაღაზიის კანტორაში.

ბ ა თ ო მ ი ს
მუშათა მაგიდა
ამით აცხადებს, რომ მუშა-მოსამსახურეთათვის მან მიიღო
კომბოსტო და ჭარხალი ოჯახზე დარიგდება 10 გირვანქა, გირვანქა 8 მანეთად.
დარიგებას შეუდგება 16 ამა ოქტომბრიდან.
მუშათა მაგიდა.

ხუთშაბათს 21, ოქტომბერს დანიშნულია
საქ. სოც. დემ. მ. ჰარტ. ბათ. კომიტეტის
კ რ ე ბ ა.
პრეზიდიუმი სთხოვს ყველა კომიტეტის წევრებს აუცილებლათ დაესწრონ ძლიერ საჩქარო საკითხების გასარჩევად.
კომიტეტის მდივანი.

ოლლას და შეპელევის ქუჩის კუთხეში ქალთა წრის გამგეობის მიერ
გ ა ი ხ ს ნ ა
ლ ო ტ ო.
საქველმოქმედო მიზნით.
ლოტო ღია იქნება საღამოს 7—11 საათ.

გამუდმევლიძის ცირკი.
ოთხშაბათი 20 ოქტომბერი
დიდი წარმოდგენა
უძველო კაცის მეორე
გასტროლი
მსოფლიო ჩემპიონატის ფრანგული ჭიდაობის გაგრძელება ჭიდაობს სამი წყვილი.
1. მუშა—წითელი ნილაბის წინააღმდეგ.
2 გენჟა-ალი—უცნობის წინააღმდეგ.
3. ზაგორუიკო—ბრონენოსცევის წინააღმდეგ.
ანონსი: ამ დღეებში შესდგება ბენეფისი ფალავანის უცნობისა.

საჩუქარი 5000 მან.

17 ოქტომბერს საღამოს თბილისის, კავკავის და აჭარის ქუჩების რაიონში დაიკარგა

ბროში (კამეია) ძვირფასია როგორც ხსოვნა.

მომტანს საჩუქრათ 5000 მ. მისამართი მარინეს პრ № 43.

ექიმ გიგინეიშვილის ბინა.

ბათუმი 20 ოქტომბერი.

უკანასკნელ დღეებში ბათომის ქუჩებში უცნაური ხმები ვ-ცელდება.

„ბრეხალოვკის“ უსტაბაშები იძახიან, რომ ინგლისელები ბათომში მოდიან, რადგან საქართველომ ვერ გადიხადა მასზე შეწერილი ბათომის საოკუპაციო ხარჯები და ამიერ კავკასიის ყველა ცენტრალი ადგილები ინგლისის საბრძოლობის ქვეშ იქნებაო.

არ ვიცით უმთავრესად ვინ არიან ეს მჭერმეტყველნი, ასეთ ნერვების ამშლელ ამბებს რომ აგონებენ ისედაც განერვიანებულ მოქალაქეებს, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ჩვენი მტრები, სვა და სხვა სახით მომქმედი აგენტები უკვე ამუშავდენ, ისინი სკდილობენ შექმნან ნერვიული მდგომარეობა—რყევა და შიში შეიტანონ მოქალაქეებში და ამით თავის მიზანს დაუახლოვდენ.

საქართველოს დამოუკიდებლობ ს მტერნი და ბათომის მხარის გუშინდელი ჟანდარმები, დღეს სხვა და სხვა საპატიო ორგანიზაციებში შებრძანდენ, მაგრამ შავ ხელებს ისევ ჩვენ დასაქცევად აფათურებენ.

ოდნავ დაკვირვებული შეამჩნევდა, რომ ბათომში ცხოველი მუშაობა აქვთ ჩვენ მტრებს.

ხმებით, ინსინუაციებით და სხვა მახინაციებით ესენი აპირებენ აქ წყლის ამღვრევას. მთავრობის ვალია განსაკუთრებულის სიფხიზლით ადევნოს თვალყური მათ საქმიანობას.

აღსანიშნავია ის მოვლენაც, რომ ბევრი აშკარა მტერი საქართველოისა ამ ორი წლის წინად აქ რომ გვხვდებოდა ისევ გაჩნდა ბათომში და ხშირად მთავრობის დაწესებულებებშიც კი ახერხებენ თურმე შეძრომას.

მთავრობამ საგანგებო ზომები უნდა მიიღოს საქართველოს ამ აშკარა მტრების აქედან, აღმოსაფვრელად. მთავრობამ მეტი სიფხიზლე და სიერთგულე უნდა მოსთხოვოს ადგი-

ლობრივ სამმართველო ორგანოებმა დროზე შეხედონ ყველა სამტროდ მოსულს და გაიგონ მათი ზრახვები, აქ სისხლე,-დაუდევრობა დამღუპველია.

მტრებს არ სძინავთ; ხალხი და დემოკრატიის ინტერესი ჩვენ გვავალებს მათთან სასტიკ ბრძოლას.

გამოვიცნოთ ის სახეები, რომლებიც ახლო წარსულში აქ ოსმალოს იმპერიალიზმს ავანგარდობდენ და შევიტყოთ თუ ვისთან არიან დღეს აქ კავშირში. მტრების რეგისტრაცია უნდა მოხდეს, მათი აქ ასე თავისუფლად სიარული ყოვლად შეუძლებელია. ზედმეტი ენერგიულობა და საქმის სიყვარული უნდა მოეთხოვოს თანამდებობის პირთ, ისინი ინტენსიურად უნდა მუშაობდენ ქალაქის და ოლქის მავნე პირთაგან სწრაფ გაწმენდისთვის.

სადღეისო შენიშვნები.

რუსეთ-პოლონეთის ზაჟი.

რუსეთ-პოლონეთს შორის საზავო ხელშეკრულება დაიდო. ამ რიგათ დასავლეთის ფრონტზე სისხლთა ნაკადის დენა შეწყდა და რუსეთი ისვენებს. შეიძლება არც ერთი ომი, რომელსაც საბჭოთა რუსეთი ვინმესთან აწარმოებდა, არ დამთავრებულიყოს ისეთი საშინელი მარცხით, როგორც პოლონეთთან ომი დამთავრდა. რუსეთმა ამ ომში აუარებელი მსხვერპლი გაიღო წითელ- არმიელთა, სამხედრო მასალის თუ სხვა ქონების სიხით. [illegible] ოც, ზავის პირობებით, ის პოლო[illegible] საკმაოთ დიდ ტერიტორიას [illegible]. [illegible]ა ამას გარდა მოვალეა მისცე 1914 წლიდან რუსეთში გაზიდ[illegible] ქონება და რუსეთის ოქროს ნაწილი.

ყოველი მსხვერპლის გამართლება შეიძლება იმდენათ, რამდენათაც მიზანი არის მიღწეული. მოსკოვის სოვნარკომის მიერ პოლონეთთან ომის დროს დასახ[illegible] მიზნები ერთიც არ გამართლ[illegible]

მოსალოდნელი[illegible] რი შესაძლელობა: 1) საბჭოთა[illegible]თის წითელი ლაშქარი დაამარცხე[illegible] პოლონეთის ჯარს და აიძულებდა პოლონეთის მთავრობას დათმობაზე წასულიყო, ამით ბოლშევიკების დელეგაცია ლონდონში გაიუმჯობესებდა მდგომარეობას, მეტის რიხით ილაპარაკებდენ მათი დელეგატები.

მეორე შესაძლებლობა, რომელსაც ბოლშევიკური ჯარების გამარჯვების და წინსვლის პროცესში შეესხა ხორცი —პოლონეთის ბურჟუაზიული მთავრობის სრულიად განადგურება და იქ კომუნისტური მთავრობის შექმნა- ეს უკანასკნელი აზრი ახლო იყო განხორციელებასთან, ბოლშევიკებმა შექმნეს პოლონეთისათვის მთავრობა, რომელიც ვარშავის წითელი ჯარების დაკავების შემდეგ, ბართვა-გამგეობ ს სათავეში უნდა ჩადგომოდა. თუ ეს შე[illegible]ძლებლობა განხორციელდ[illegible]ოდა, საბჭოთა რუსეთს [illegible]არც კი შეეძლო აღერიცხა [illegible] თუ რაოდენ სარჯებლობას მოუტანდა ეს მას— დასავლეთით ძლიერი მოკავშირის შოვნა, ბლოკადის რკალის გარღვევა და თავისუფლად ამოსუნთქვა და ყველაზე მეტათ-ცენტრალურ ევროპასთან, სადაც მრავალი საწვავი მასალაა მოგროვებული, უშუალო კავშირი, რომელიც უსათუოდ ახალ ძალებს შემატებდა საბჭოთა რუსეთს და სრულიად ააბნევდა მოკავშირეების დავთრებს.

მაგრამ არც ერთი ამ შესაძლებლობათაგან არ განხორციელდა, ბრძოლის ველზე გამარჯვება და შეუჩერებელი წინსვლა საშინელი დამარცხებით დამთავრდა და პოლონეთის ჯარებმა სულ რაღაც ორ კვირის განმავლობაში დაიბრუნა დაკარგული ტერიტორია.

ბრძოლის ველზე დამარცხებამ არა თუ, თუ შეიძლება ასე იფქვას, რევოლიუციონურ მიზნებს გამოაცალა ყოველივე ნიადაგი, არამედ იმ მცირე სურვილებსაც, როგორიც არითს დასავლეთ ფრონტზე გამარჯვებით ლონდონში მდგომარეობის გაუმჯობესება.

ევროპასთან ურთიერთობის აღდგენის საქმე მეტად გაძნელდა ბრძოლის ველზე დამარცხებით. ევროპის მმართველი წრეები დარწმუნებული იმაში, რომ თანამედროვე, ქაოსში მყოფ რუსეთიდან, მისი განადგურებული წარმოებით და მოშლილი ტრანსპორტით, არავითარი ნედლი მასალის გამოტანა არ შეიძლება, იმდენათ იწყნარებენ საბჭოთა ნოტებს და საბჭოთა მთავრობასთან დათმობაზე მიდიან, რამდენათაც ის რეალურ ძალას ან საფრთხეს წარმოადგენს. ინგლის - საფრანგეთის იმპერიალისტები ს კმაოთ ჭკვიანი ხალხია, ისინი არჩევენ მცირედი დაკარგონ ვიდრე ყველაფერი. მაგრამ როცა ბილშევიკური საფრთხე სხვა და სხვა მიზეზების გამო ქრება პოლიტიკურ ჰორიზონტიდან, ისინი ძველებურად მიუდგომელნი არიან.

გარდა ამისა ბრძოლის ველზე ასე სასტიკად დამარცხებამ იმ დროს, როცა წითელი ლაშქარი პოლონეთის პანების და ბურჟუაზიის მიერ „ნაძარცვ სიმდიდრის გაძარცვას“ ეპირებოდა, საშინელი დემორალიზაცია შეიტანა წითელ ლაშქარში, რასაც მძიმე საზავო პირობები, რასაკვირველია, უფრო გააძლიერებს. დამარცხებულის ფსიქოლოგიის მქონე ჯარს აღარა აქვს ძველი აღტყინება და ბრძოლის სურვილი, და მეტად საეჭვოა, რომ პოლონეთის ფრონტზე მოხსნილმა და ვრანგელის ფრონტზე გაგზავნილმა ჯარებმა დიდი ცვლილებები შეიტანოს სამხრეთ ფრონტზე და ერთის ხელის დაკვრით გაბრიოს „ამაყი ბარონი“.

ზემოთ ნათქვამი თვალსაზრისით დაფასებული რუსეთ—პოლონეთის ომის შედეგები, მეტად უნუგეშოა საბჭოთა რუსეთისათვის. ომმა, რომელსაც, როგორც ეტყობოდა, მოსკოვი დიდი იმედებს ამყარებდა, იოტის ოდენა სარგებლობაც ვერ მოუტანა საბჭოთა მთავრობას, ზარალი კი აურაცხელი. ამ უდიდესი ავანტიურის შედეგები ძმიმე ტვირთად დააწვება რუსეთის ხალხს და უფრო გააძლიერებს იმ საერთო ნგრევას და დაშლას, რომლის პროცესში დღეს საბჭოთა რუსეთი იმყოფება.

მაგრ მ დასავლეთ ფრონტზე დამყარებული მშვიდობიანობის ხანგრძლივობაც მეტად პრობლემატიურია. საბჭოთა გაზეთები შიშს გამოსთქვამენ ამის გამო და ფრონტის გამაგრებისაკენ მოუწოდებენ რუსეთის ხალხს.

საბჭოთა რუსეთს არ შეუძლია გულწრფელი იყოს რაიმე ურთიერთობაში და დამოკიდებულებაში. ის ლამობს ყოველივე კომუნისტურ ცეცხლში დასწვას და რასაკვირველია თუ შეძლება მიეცა კვლავ ეცდება პოლონეთის კომუნისტურად მონათვლას.

არც პოლონეთის დღევანდელი მთავრობა არის იმპერიალისტურ ზრახვებს მოკლებული. იმ მძიმე პირობებით, რომელიც საბჭოთა რუ ეთს წარუდგინა მან, უფრო აძლიერებს რუსეთმა ხალხში პოლონეთისადმი მტრობას და შურს და ნიადაგს უმზადებენ მოსკოველ დიქტატორებს ახალ ავანტიურისათვის.

შეიძლება სულ ახლო მომავალში ვიხილოთ დასავლეთ ფრონტზე სისხლის ნაკადები და ადამიანთა მსხვერპლი.

ის შეირაღებული ზავი, რომელიც საბჭოთა რუსეთსა და პოლონეთს შორის დამყარდა მრავალ საუბუს გვაძლევს ასე ვიფიქროთ.

ე. წ—ძე.

ინგლისის რადიო.

18 ოქტომბერი.

ტაკი ონესკუ ინგლისში.

რუმინიის მინისტრი ტაკი ონესკუ დღეს მიწვეულ იქნა ოფიციალურ ვახშამზე, რომლის დროს საუბარი ქონდა ზოგიერთ მინისტრებთან. ლორდმა ვერზონმა დალია ტაკი ონესკუს სადღეგრძელო, და აღნიშნა მისი საგარეო პოლიტიკის კარგი ცოდნა. ლორდმა კერზონმა აღნიშნა აგრეთვე, რომ ტაკი ონესკუ მუდამ გულწრფელი მეგობარი და მომხრე იყო მოკავშირეების და რომ რუმინია მუდამ დიდ ყურადღებას იჩენდა ინგლისისადმი. რუმინიამ დიდი განსაცდელი გაიარა ომის დროს, მაგრამ მიუხედავათ ამისა მისი პრინციპები არ შესუსტებულა.

ახლა რუმინია გამოვიდა ცივილიზაციის და ევროპის კულტურის ავანპოსტზე. ამ ჟამად რუმინიის მთავარ მიზანს შეადგენს—მეზობლებთან მუდმივი და მტკიცე ზავის ჩამოვდება და აღმოსავლეთის სახელმწიფოებთან, რომელთა შორის რუმინიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს, ხელშეკრულების დადება. თავის საპასუხო სიტყვაში [illegible] ბ-ნ [illegible] იმ დიდ როლზე, რომელიც დიდ ბრიტანეთმა ითამაშა [illegible] ომში და რომ რუმინია მუდმივათ ბრიტანეთის მეგობარი და მოკავშირეთ დარჩება.

სტამბულინსკი ლონდონში.

ბოლგარიის პრემიერმა სტამბულინსკიმ შეკითხვით მიმართა ლონდონის ს ვაჭრო პალატას ბრიტანეთის ბოლგარიასთან საავაჭრო ურთიერთობის შესაძლებლობის შესახებ. მან განაცხადა, რომ ბოლგარიის მიზანია მხარის გასამაგრებლათ სასწრაფო ზომების მიღება. ბუნებამ უხვად დაჯილდოვა ბოლგარია მინერალური სიმდიდრით, რომელიც ჯერ არ არის დამუშავებული და გამოყენებული, აჭირო კაპიტალის უქონლობის გამო

ბოლგარიას სჭირია უცხო თის კაპიტალი და წარმოება ის [illegible]მიუწოდებს ინგლისელ კომერსანტებს გაეგზავნონ ბოლგარიაში, სადაც ისინი საუკეთესო ბაზარს ჰპოვებენ თავის ნაწარმოების გასასაღებლათ

მოსკოვის რადიო.

(19 ოქტ ცნობა.)

სამხრეთის ფრონტზე ალექსანდროვსკ—სინელნიკოვის რკინის გზის რაიონში ჩვენი ცეცხლით უკუვაქციეთ მოწინააღმდეგის რაზმი, რომელიც სად. ილოვკაზე გვიტევდა.

ხერსონის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა ქ. ალეშკი დაიკავეს.

ქრონიკა.

◆ მუშთა ბაგიდა აცხადებს, რომ პურისა დ სხვა საჭესათის გაცემა სწარმოებს 9-2 საათამდი და ვისაც რაიმე მისაღები აქვს ამ დროსათვის უნდა გამოცხადდენ.

◆ შრომის ბირჟაში 18 ოქტომბერს გამოცხადდა 61 უმუშევარი.

◆ ბათომის სახელმწიფო მოამსახურეთა პროფ. კავშირის ცენტრალური გამგეობა მოაკონებს სხვა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების გამგეობ თ, რომ ყველა ის დადგენილებანი გამგეობისა და საზოგადო კრებისა, რ ს შესახებ ამ რამდენიმე ხნის წინათ ცნობა მათ, რაც შეიძლება დაჩქარებ თ იქნას შესრულებული.

◆ ხუთშაბათს 21 ოქტომბერს [illegible] 7 საათზე საკრებულო დარბაზში ევროპიდან ახლახან დაბრუნებული საქართ. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტ ის მთავარი კომიტეტის წევრი, ფილოსოფოს დოქტორი ტ. მარგველაშვილი წაიკითხავს ლექციას.

◆ ოკტომბრის 18 სამხედრო კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ აკაკი ჩხენკელს თათბირი ჰქონდა ჯარების სარდლის გენერალ ზ. მდივნის თანდასწრებით.

◆ ხვალ ბათუმში მოელიან ქალაქისთავს ბ-ნ გოზო ანჯაფარიძეს.

◆ განათლების საქმეთა რწმუნებული ბ.ნი კალე ქავთარაძე აცხადებს, რომ უბინაობის გამო მას დღემდის საშუალება არ აქვს სასწავლებლებში ნორმალი სწავლება დაიწყებიოს.

საბინაო კომისიას დღემდის მასწავლებელთათვის და საერთოდ სამოსწავლო უწყებისათვის, არც ერთი ბინა არ მიუეცია გარდა თითო ოროლა ოთახისა.

◆ საბინაო კომისიის თავმჯდომარის სიტყვით ამჟამად დასაბინავებელი დარჩა სულ 490 კაცი.

◆ სახელმწიფო საზოგადო უწყებათა მოხელე-მოსამსახურეთ და აგრეთვე 4 სახელმწიფო უწყებას ბინა არ აქვს. საბინაო კომისიის აზრით ზემოხსენებულ მოხელეთა და დაწესებულებათა დაკმაყოფილების შემდეგ სარეკვიზიციო კომისია გაუქმებული იქმნება.

◆ ბათომში ძალზე გაძვირდა გაზეთის ქალალდი.

◆ მუსტამბე ბ-ნი შმაეკსკი ამ დღე ბში ქ. სტამბოლს მიემგზავრება გაზეთის ქალალდის და სხვა სასტამბო მასალების შესაძენად.

◆ უბინობის გამო გადა[illegible]ხდთა ინსპექციაში მუშობა წესიერად ვერ სწარმოებს.

◆ ადმინისტრაციის ინსპექტორს პოლკ. სულაქველიძეს ოლქის ინჟენერი ბ-ნი გიორგობიანი აუწყებს, რომ ოლქის მილიციის ქალაქის მილიციის და პირველ სამილიციო უბნის ბინები სრულიად შეუფერებელია სადგომად და ზამთარში მათში ხსენებულ დაწესებულებათა დარჩენა ყოველად შეუძლებელია.

◆ სანატორიუმი. ექიმი ა. დ. მაჭავარიანი სთხოვს ქალაქის თვითმართველობას ნება მიეცეს მას დააარსოს ქ. ბათუმში ზღვის პირის ქუჩაზე ჩხიკვაძის სახში გულმკერდ სუსტთათვის სანატორიუმი თავის თხოვნაში ბ. მაჭავარიანი განმარტავს, რომ ასეთი ავათმყოფები არ არიან